№ 162. 2 აგვისტო, შაბათი. 1866—1880 2 აგვისტო, შაბათი № 162

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია
ერევნის მოედანზე, სუა-ბაზრის თავში მარცხნივ თ. [illegible] სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
[illegible] "დროებაზე" "ივერიაზე" რედაქციაში. გარე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію "Дроэба"—"Иверія"

"დროება"—"ივერიის" ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| "დროება"—"ივერია" ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე "დროება" | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე "ივერია" | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი "დროებისა" ღირს 5 კაპ. "ივერიისა" 2 მან.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] რუსულით ასოზე ნახევარი კაპ. წვრილშრიფტის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკან ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის საგენტოსი)

სიმლა, 30 ივლისს. ყანდაარის მეციხოვნენი რამდენჯერმე შეებენ მას ლობელ სოფლებში მცხოვრებელს ხალხს და შეუ აქცია. დღეს აბდულ-რახმანი ინახულებს სტუარტს ქაბულის ახლოს, შერპურში, შემდეგ სტუარტი იმ წამსვე წავა მხედრობით განდამაკში.

პეტერბურღის ბირჟა, 31 ივლისს

("ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი")

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 93 | 87 |
| მეორესი — — — — — | 92 | 37 |
| მესამესი — — — — | 93 | 50 |
| მეოთხესი — — — — | 92 | 87 |
| აღმოსავლეთის პირვ. — — | 91 | 62 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 91 | 12 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 91 | 12 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი — — | 7 | 84 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | " | " |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 224 | 50 |
| მეორე სესხის — — — | 223 | 75 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25—25 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 215—25 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 266—25 | სანტიმი |
| ვენა — — — | 129—50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

---

### შენიშვნა

ცხადია მნიშვნელობა სასულიერო წოდებისა ხალხის ცხოვრებისათვის. სამღვდელოება მაღლა სდგას ხალხის თვალში, როგორც ა) მასთან შედარებით უფრო განათლებული და როგორც ბ) საღმრთო რჯულის აღმასრულებელი. ამის გამო იმას აქვს დიდი გავლენა ხალხზე: ის მოქმედობს ამ უკანასკნელზე, როგორც თავისი სწავლით და საღმთო მოქმედებით, აგრეთვე თავისი ზნეობითაც; ხალხი უყურებს მას თითქმის, როგორც ცხოვრების მაგალითს.

ამ გვარად სასულიერო წოდება არის ერთი იმ ლამპართაგანი, რომელნიც უნათებენ ხალხს გზას, ერთი იმ ძალთაგანი, რომელნიც აწარმოებენ ხალხის წინ-მსვლელობას. ამისთვის ვისაც ჭეშმარიტად ჰსურს ხალხის განათლება, მან უსათუოდ უნდა მიაქციოს ყურადღება სამღვდელოების გონებით და ზნეობით მდგომარეობასაც, იმან უნდა იხმაროს ღონისძიება მისი, როგორც მოქმედი ძალის, მაღლა დაყენებისათვის.

მე აქ მხოლოდ ერთ ამ ღონისძიებათაგანზე მსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვა.

გონების განათლებისათვის აქვს მნიშვნელობა არა მარტო აღზრდის დროს სწავლას. სასწავლებელში მანალები განათლება, თუ მას არა აქვს წყარო, რომლის შემწეობითაც შეეძლოს წინ-მსვლელობა, დაიწყებს უკან-მსვლელობას და გაქარწყლდება. ეს ადვილად მოხდება მეტადრე მაშინ, როდესაც ეს პირველ-განათლება არ არის მკვიდრი, არის მხოლოდ ნახევარ-განათლება,—იმისთანა განათლება, როგორსაც იღებს უმეტეს ნაწილად ახლანდელი ჩვენი სამღვდელოება.

მართლადაც და ჩაიცვამს-რა ახალგაზდა ნახევარ-განათლებული კაცი ანაფორას და მოეკიდება ჯალაბობას, ივიწყებს ნელ-ნელა იმ ცოტაოდენ სწავლასაც, რომელიც მიუღია. ის მეცნიერების სხივები, რომლებმაც ოდესმე მიაღწიეს მის სულამდე, ნელ-ნელა ჰქრებიან და იქ უფლდება ბნელი. შედეგი სულიერი სიწყვდიადისა ცხადია; ცხადია მიზეზი ხალხის ცხოვრების გასანათლებლად აღგზნებულის ლამპრის უზეთობით ჩაქრობისა.

აქ საჭიროა, რასაკვირველია, იმისთანა ღონისძიება, რომელიც არამც თუ წინაალუდგეს ამ მომავალ წყვდიადს, არამედ რომელმაც კიდეც უნდა გაჰფანტოს ის თან-და-თან განაძლიეროს აღზრდის დროს მინალები განათლება.

ეს ღონისძიება არის სწავლის განგრძობა სასწავლებლიდამ გამოსვლის შემდეგაც.

თუ სასწავლებლიდამ გამოჰყვა კაცს ნამდვილი სიყვარული და სწავლისადმი ძლიერი ლტოლვილება, მაშინ ეს ლტოლვილება არ დარჩება უქმად: ის ყოველგვარ გარემოებაში აპოვნინებს კაცს ღონისძიებას თავის დასაკმაყოფილებლად. მაგრამ თუ ეს ლტოლვილება ესეთი ძლიერი არ არის, მაშინ მას თავის შესაფერი საზრდო უნდა,—საზრდო, რომელსაც შეეძლოს ნელ-ნელა განაღოს და განაცხოველოს ის.

ამ საზრდოს, რასაკვირველია, ვერ შეადგენს ზოგიერთი, უმეტეს ნაწილად უგემური წიგნები, რომლებსაც ხანდის-ხან ჩვენებურ მღვდლებს ძალა-უნებურად აყიდვინებენ ხოლმე ბლაღოჩინები და რომლების ფურცლები გაჭრასაც არ ეღირსებიან, ისე შეიქნებიან მტვრისა და რჩჩილის კუთვნილებად. აქ საჭიროა ისეთი საკითხავი, რომელიც ადვილი, ყველასთვის ფრიად საყურადღებო და საინტერესო იყოს,—საკითხავი, რომელიც ახლო შეეხებოდეს ცხოვრებას. ამისთანა საკითხავს შეადგენენ სხვათა შორის გაზეთ-ჟურნალნი.

---

## ფელტონი

### გადავედი მაშ!

(შაგირდების ცხოვრებიდამ)

**-ის გიმნაზიაში ექზამენები ახლოვდებოდა. ყველა შაგირდებს ციების ჟრუანტელმა გაუარა ტანში, მაგრამ ყველაზე უფრო დაშინდა ჩვენი ამბის გმირი Დათიკო, მეექვსე კლასსის შაგირდი.

მართლაც, ცუდად იყო მისი საქმე. ერთხელ ამ მასხარა შაგირდმა, როცა გაკვეთილი არ იცოდა, თავის კლასსის დამრიგებელს, რომელიც იმავ დროს მათემატიკის მასწავლებელიც იყო, „შენი სულის ჭირიმე-ს" მაგიერ „შენი ცოლის ჭირიმე" უთხრა, და მას აქეთ ეს დამრიგებელი—მასწავლებელი დამტერებული ჰყავნდა და, ისედაც სუსტად მათემატიკის მცოდნე Დათიკოს, „ერთეულის" მეტს არაფერს უსვამდა თავის საგნიდამ.

არც სხვა საგნები იცოდა მაინცდა-მაინც კარგად Დათიკომ, მაგრამ ზოგის ექზამენის დროს გადაწერის იმედი ჰქონდა, ზოგიდამ მასწავლებლის გულ-კეთილობისა. მაგრამ მათემატიკის მასწავლებელმა იმისთანა თვალის დევნება იცოდა, რომ მისს ხელში ტყუილად ნუ იფიქრებდა კაცი გადაწერას, და მოწყალებას ხომ რა...

—

შემდეგს კლასში თუ არ გადვიდოდა, ისე ვერ მიბედავდა სახლში. ამიტომაც გადაწყვიტა რაც უნდა მომიხდეს უნდა გადვიდეო. Თავ-გადადებულად გარდაწყვეტილების მიღება ნახევრად საქმის გაკეთებას უდრის. მართლაც, რუსულიდამ და ლათინურიდამ როგორც იყო „გამოძვრა": რუსულიდამ თვითონ დასწერა თხზულება და ლათინურიდამ კი ზოგი გადაიწერა და ზოგიც თვითონ გულკეთილ ლათინურის მასწავლებელს აკარნახებინა!

მესამე ექზამენი მათემატიკიდამ უნდა ყოფილიყო, რომელიც გადაწყვეტდა Დათიკოს ბედს. საქმე ცუდად იყო...

პარასკევს რომ ექზამენი იყო, ოთხშაბათს Დათიკო სასოწარკვეთილებას მიეცა, თუმცა კიდევ ჰფიქრობდა—რა „ხერხით" დაეჭირა მათემატიკიდამ ექსამენი.

—

ხუთშაბათი დილაა. მიტროფან შვეიცარის პაწაწინა ოთახის კარი გაიღო და შიგ შევიდა ჩვენი Დათიკო, რომელმაც მცბიერ-მეგობრობით მიაყვირა რუსს-მიტროფანს (რომელიც ქართულსაც ამტვრევდა):

— Აა, მოი დრუგ ზდრასტი!

— ზდრავი ჟელაემ, ა შტო?

— ნიჩევო, პრიშოლ ვას ვიდეთ.

—

მასპინძელი და სტუმარი შეჰყვნენ მუსაიფს. Დათიკო ისე მხიარულად აჩვენებდა თავს, რომ მასპინძელმა ვერ მოითმინა, რო არ ეკითხნა ამის მიზეზი.

— Იჰ, როგორ, თუ რად ვარ მხიარულად? შინიდამ ფული მივიღე!

— Ფული მივიღე? Არ დამპატიჟებ მაგ ფულებით?

— Ბატონი ხარ, სამსახურს რა კი მორჩე, ექვს საათზე საღამოს Ოჰანეზიანის სარდაფში მოდი, მე იქ ვიქნები. Ერთად გადავჰკრათ.

— Პრავო?

— Ეი ბოღუ!

— Ნუ პო რუკამ! Ორთავემ ერთმანეთს ხელი მისცეს და განშორდნენ.

Დათიკოსაც ეს უნდოდა: მიტროფანს ებარა პედაგოგიური რჩევის ოთახის კლიტე და შიგ მდგომი ყველა სტოლების გასაღებები.

—

Დანიშნულს დროს მიტროფანი და Დათიკო Ოჰანეზიანის სარდაფში „ზაკუსკას" და ღვინოს შეექცეოდნენ, და ერთს დინჯს, დარბაისლურს საუბარში იყვნენ. შუა-ქეიფში რომ იყვნენ, ამ დროს Დათიკო სახვეწნად დაეჭყანა თავის მოქეიფეს:

— მიტროფან!

— ჩევო იზვოლტე?

— შტო ჟე ეი ბოღუ.... Თუ შენ არ მიშველე წრეულს დავრჩები...

— Ვოტ იშჩო! Ია ტო შტო! Ია პრისიაგალ ვეროიუ სლუჟიტ!

— Არა, ღმერთმანი, ყელ-გადაგდებით დაუწყო ხვეწნა Დათიკომ, შენ თუ მოინდომებ, ყველაფერი შეგიძლია! Თუ ძმა ხარ, მიტროფან, შენ იცი და შენმა კაცობამ, მიშველე და მერე მე მკითხე შენი პატივისცემა, საქეიფოდ დაპატიჟება.... Წითელი ქაღალდი მზათ მაქვს...

— Ნე მოგუ, ბარინ, ია ჩელოვეკ სლუჟაშჩი, პრისიაგუ პრინიმალ! Თავი გამოიდო რუსმა; იგრძნო რომ რამე

მაგრამ მე აქ სახეში მყავს სასულიერო წოდება, რომელსაც საზოგადო ინტერესების გარდა, აქვს თავისი საკუთარი მოთხოვნილებანი. რომელიც თუმცა დაკავშირებულია ხალხთან, როგორც მოქმედი ძალა, მაგრამ მაინც ცალკე წრეს შეადგენს. ეს საკუთარი ამ წრის მოთხოვნილებანი არიან ცოტად თუ ბევრად საინტერესონი თვითეულ ამ წრის წევრთათვის. ეს განსაკუთრებითი მოთხოვნილებანი ეკკლესიის მსახურთა არ შეიძლება დაკმაყოფილდნენ ამ ჟურნალ-გაზეთებით, რომელნიც ახლა ჩვენში მოქმედობენ, რადგანაც ა) ისინი, როგორც საერონი ვერ იდებენ თავს დააკმაყოფილონ ყველა მოთხოვნილება სამღვდელოებისა და ბ) თუნდაც თავს იდვან, სიცოტაობის გამო, ვერ გასწვდებიან ამ ორთავე წრის ინტერესებს. სასულიერო წოდებას უჭირს თავის საკუთარი ორგანო, რომელმაც უნდა იტვირთოს იმის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ეს ორგანო, როგორც უფრო დაახლოებული ეკკლესიის მსახურებაზე, რომლის ფურცლებზედაც იქმნება გამოხატული მათი ჰაზრი და სურვილ-გაჭირება, სადაც იქნება სჯა იმისთანა საგნებზე, რომელნიც უფრო ახლო ეხებიან მათ წრეს და მათ ლტოლვილებათ, უეჭველად უფრო მიაქცევდა თავისზე მათ ყურადღებას. ეს ორგანო შეაჩვევდა მათ კითხვას და გაუხსნიდა ამ საგანში გემოს. ამ გვარად, ამის შემწეობით რამდენიმე მაინც აიწევდა არამც თუ გონებით, არამედ ზნეობითი მხარეც ჩვენის ოდესმე ნაქების და აწ ესრე დაცემულის და თითქმის უქმი სამღვდელოებისა.

გარდა ამისა, დაიწყებდნენ რა თვითონ სულიერნი მამანი წერას, ისინი არამც თუ უფრო ნამდვილად გააცნობდნენ საზოგადოებას თავიანთ საკუთარ ყოფა-ცხოვრებასთან, არამედ, როგორც უფრო ახლო მცოდნენი ხალხის რელიგიურ ზნეობითი მდგომარეობისა, გადასცემდნენ საზოგადოებას უფრო ჭეშმარიტ ცნობებს მის შესახებ.

აგრეთვე ადვილად მოახერხებდნენ ისინი საზოგადოების გაცნობას იმ საეკკლესიო ნაშთენებთან, რომელნიც ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებში არიან გაფანტულნი, მაგრამ ეხლა ესე უნაყოფოდ იკარგებიან სხვათა შორის ეკკლესიის მსახურთ უცოდნელობით და დაუდევნელობით ეკკლესიის მსახური, რომელთაც პირის-პირ აქვთ ამ ნაშთენებთან საქმე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს ორგანო შეიფარებდა თავის ფურცლებზედ ჩვენის საეკკლესიო ისტორიის ზოგიერთ მასალას მაინც.

და ან კი არის საჭირო ჩავთვალოთ ძვირფასი შედეგები თუნდა მარტო სამღვდელოებაში აღძრულ განათლებისადმი სიყვარულისა,—სიყვარულისა, რომლის ერთ გამაღვიძებელ ღონედ მიაჩნია ორღანო, რომელზედაც არის ლაპარაკი?!

ეს ორღანო, რომ მან მოიტანოს სასურველი ნაყოფი, უნდა, რასაკვირველია, შეძლებისა-და-გვარად ეფარდებოდეს ჩვენი სამღვდელოების გონებითი მდგომარეობას და მის მოთხოვნილებათ.

ამ საქმის ხელის მოკიდვა არის ვალი იმ ორიოდე განათლებული პირისა, რომელნიც ჩვენი სამღვდელოების რიცხვში ითვლებიან და რომლების პირ-და-პირი მოვალეობაც არის იზრუნონ თავიანთ მოძმეებზე.

იმედია, რომ ეს განათლებულნი პირნი იტვირთავენ ამ საქმეს და ეცდებიან თავიანთ მოძმეების ბნელიდამ გამოყვანას,—იმედია მით უფრო, რომ უკანასკნელმა დრომ ბევრად თუ ცოტად დაგვანახა, რომ ჩვენ სამღვდელოებაში კიდევ არიან იმისთანა განათლებულ-პატიოსანნი პირნი, რომელთაც ნამდვილ შესტკივათ გული თავის ქვეყნისათვის, თავის სჯულისათვის. იმედია აგრეთვე, რომ ამ პატიოსან საქმეში მხარს მისცემენ მათ (კალმით მაინც, თუ სხვა არაფრით) ყველა ჭეშმარიტად განათლებულნი პირნი და მათ შორის განსაკუთრებით ისინი, რომელნიც, თუმც სამღვდელოების დასში არ ირიცხებიან, მაგრამ, არიან-რა მის შვილები, ახლო იციან მისი მდგომარეობა და ამასთანავე უფრო ზედ-მიწევნით აქვთ შესწავლული სასულიერო მეცნიერება.

ვ. ბ—ვი.

## ახალი ამბები

—

ჩვენ შევიტყეთ, რომ, მის მაღალ-ყოვლად-სამღვდელოის ეგზარხოსის მინდობილობით, სინოდალნის კანტორას ქართლ-კახეთის ეპარხიის ბლაღოჩინებისათვის მიუწერია ქაღალდი და მოუთხოვნია ამათგან ცნობა იმაზედ—თუ სოფლის მღვდლები საშუალ რიცხვით რამდენს იღებენ ამ ჟამად ჯვარის-წერაში, ნათლობაში, დამარხვაში და სხვა საეკკლესიო წესში.

ამ ცნობების შეკრების მიზანი, როგორც გვითხრეს, ის არის, რომ შემდეგში ყველა საეკკლესიო წესისათვის ტაქციის დანიშვნაზედ მოილაპარაკონ და გადასწყვიტონ.

რაღა თქმა უნდა, რომ, თუ ეს ამბავი მართალი გა[illegible] სასიამოვნო იქნება [illegible] ციის დანიშვნით, როგორც არა-ერთხელ გვითქვამს, ერთხელ-და-სამუდამოთ მოისპობა ის განხეთქილება და უკმაყოფილება, რომელიც, საუბედუროთ, ჩვენს სოფლის მღვდლებსა და მრევლს შუა არსებობს ამ ჟამად.

* * *

საშინელი სიძვირე ჩამოვარდა ამ ჟამად ფულისა ჩვენს ქალაქში; თორმეტ კაპეიკ-სამ შაურ ნაკლებ, სული რომ გხდებოდეს, ვერ იშოვნი, ისიც თუ კარგი გირაო ანუ საიმედო თავდები არა გყავს.

უმთავრესი მიზეზი ამისი, ერთის მხრით, უნდა იყოს გავლილ ზამთრის დიდი სიძვირე ყველაფერისა და, მეორეს მხრით, ის გარემოება, რომ ქალაქის ვაჭრები ამ ჟამად მაკარიაზე მიდიან და, რადგან ამ ჩვენებურ ვაჭრებს, ხშირად გაკოტრებისა და ცეცხლის წაკიდების წყალობით, ნდობა დაეკარგათ რუსეთშიაცა და საზღვარგარეთ, ამის გამო ვაჭრები იძულებული არიან ნაღდ ფულით ივაჭრონ, ნისიათ ამათ არაფერს ენდობიან.

* * *

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია, რომ ფოჩტის დეპარტამენტს განზრახვა აქვს ახალი წესდება შემოიღოს ფოჩტით ფულის გაგზავნის თაობაზედ; ეს ახალი წესი მდგომარეობს იმაში, რომ ფულის გამგზავნი ფულს შეიტანს ფოჩტაში და იქიდამ კვიტანციას მიიღებს, ფოჩტა კი ფულის მაგიერად, იმ პირს, რომლის სახელობაზედაც ის ფული გაგზავნილია, მხოლოთ კვიტანციას გაუგზავნის და ამ კვიტანციით ის პირი მიიღებს ფოჩტის თავის ქალაქის ფოჩტის კანტორაში. ამას გარდა, მოგვეხსენებათ, რომ ამ

---

მასაც შესძლებია და ახლა კი რაღაც სიყალბემდი მიდის საქმე...

დათიკომ შეატყო ეს, სიტყვა ბანზე ააგდო, და ხმა მაღლა მოითხოვა ერთი ბოთლი მაგარი ვოდკა.

— ოო.... შენი ჩირიმე კნიაზ, სიხარულით წამოიძახა მიტრაფანმა, ვოტ ეტო ტაკ! ა ტო შტო ვინო? ფიე!

მოიტანეს ვოდკა; დათიკომ სულ მიტროფანს მიანება. ამ უკანასკნელმა კი მარდად გადაჰკრა ჭიქა ჭიქაზე და მოლბა კაცი: დაიწყო კრეჭა და სიმღერა...

„ნადირი მონადირეს თვით ჩამოურბენსო“—ნათქვამია. ახლაც ასე მოხდა. დათიკოც ამას ელოდა.

— ბარინ, შტო ვი დაჲეჩა პროსილი?

ნახევრად ძღევა-მოსილმა დათიკომ ერთი მაგრად ჩაახველა, თავის მოსაუბრეს ხელი მხარზე მოჰკიდა და ხმის კანკალით უთხრა:

— მათემატიკის ეგზამენის ტემა უნდა მომაპარვინო.

— ეხ, კნიაზ, კაკ მოჟნო! გრეხ! ცოდვა ვიცი შენ?

— ცოდვა ჩემს კისერზე იყოს! ტი ტოლკო... პოჟალუსტა პამაგი მიტროფან, შენი ჭირიმე!

— ძაკ ია მაგუ უკრასტ, ნუ გავარიტე!

— ამაღამ შუაღამეზე, როცა ყველას ეძინება, მოვალ შენთან, ერთად შევიდეთ პედაგოგიურ რჩევის ოთახში და იქ რომელიმე სტოლის უჯრაში იქნება ტემა...

— ნუ, მოჟნო; ა დენგი ბუდუტ!

— იშჩო ბი, ნა ტებე 5 რუბლეი! სიხარულით დათიკო ფეხზე აღარ იდგა.

რუსმა გიმნაზიაში მოინდომა დაბრუნება, სადაც ღამის 12 საათზე დათიკოს და მას ტემა უნდა მოეპარათ. გამომშვიდობების დროს დათიკომ ერთი ბოთლი არაყი გაატანა.

—

შუაღამეზედ დათიკო მიტროფანთან გაჩნდა, რომელიც ტკბილს ძილს მისცემოდა და მამაცურად ხვრინავდა. გვერდს ცარიელი არაყის ბოთლი იდგა.

ღიმნაზიაში ყველას ეძინა. არემარე დუმილით იყო მოცული. ოთახში შესვლისთანავე დათიკომ ჩუმად გააღვიძა მიტროფანი და ჩასჩურჩულა „საქმეს შევუდგეთო“ რუსმა თვალები გააჭყიტა, წამოდგა და... ავაი! ის დამთვრალიყო...

— ჩავო ვამ ნუჟნო? ბოხის ხმით ჰკითხა, უიმისოდაც შემკრთალ ყმაწვილს.

— ძაკ ჩევო? მიტროფან, დუშკა, გახსოვს სარდაფი? შენი ჭირიმე, მიტროფან, ტემა, თუ ძმა ხარ!... ფული, ვოდკა, ქეიფი, არაყი, რაც გინდა!

სარდაფის ხსენებამ და ვოდკის და არაყის სახელმა რუსს ყველაფერი გაახსენეს.

— აა, ტეპერიჩა ზნაიუ, პოიდიომ!

აანთეს სანთელი და გასწიეს. გააღეს პედაგოგიური რჩევის ოთახის კარი, შევიდნენ შიგ და დაიწყეს სტოლების უჯრებში „ტემის“ ძებნა.

ერთი-ორი სტოლის უჯრების გადათვალიერება რომ გაათავეს და „ტემა“ ვერ ნახეს, დათიკო დაფიქრდა. შიშით ცახცახი დააწყებინა. „ახლა რომ დირექტორმა ან ინსპექტორმა შემოიხედოს ამ გაჩაღებულ ოთახს და შემოვიდეს, ხომ დავიღუპე კაცი? ხომ იმ წამსვე გამომაგდეს გიმნაზიიდამ. ფეხი მომტეხოდა და აქ არ მოვსულიყავ! ღმერთო შენ გადამარჩინე!“

— მიტროფან ოსტავ, წავიდეთ, პუსტ ოსტანუს! შეშინებულის და ტირილის ხმით სთქვა დათიკომ. დაპირებულით წაქეზებული რუსი არ ეშვებოდა ძებნას.

„უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო“ — დათიკოზედ ასრულდა: როცა მიტროფანმა სეკრეტრის სტოლის უჯრა გამოსწია, რომელიც სავსე იყო სხვა და სხვა დოკუმენტებით, და შიგ სანახევროდ ჩაწოლილმა დაიწყო ძებნა, ამ დროს უწია არაყმა და ვოდკამ და, უკაცრავი მოხსენებაა, პირიდამ აღებინა... ყველა ქაღალდები დაისვარა... აქამდინაც შეშინებულმა დათიკომ ეს რომ დაინახა, თავზარი დაეცა, სანთელი ხელიდამ გაუვარდა, და „ოსტავ, მიტროფან, ნე ხოჩუ“-ს ძახილით შინისკენ გაჰკურცხლა...

—

პარასკევის დილაა, რვა საათია. ორი საათის შემდეგ VI კლასის შაგირდებს ეგზამენი დაეწყებათ. დათიკოს შიშით მკვდრის ფერი ადევს და ვიღაცას პუტუნით ემუქრება. უეცრად მან თვალი მოჰკრა თავის კლასის შაგირდს ილიინს, რომელიც პირველი იყო სწავლით, მაგრამ საძაგელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქამდე თუ ფულის მიღების უწყება პოლიციისაგან შემოწმებული არ არის, ისე ფულს არ იძლევიან ფოჩტიდამ, შემდეგში კი მარტო თავის ბილეთის (პასპორტის) წარდგენა საკმაო იქნება ფოჩტიდამ ფულის გამოსატანად.

* * *

სიღნაღიდამ გვწერენ შემდეგ ამბებს:

„მგელ-კაცმა დიდი ზარალი მოგვცა: სამი ყმაწვილი შეჭამა, ერთი 13 წლისა, ორი ჩვილი, ორი დიდა-კაცი დაგლიჯა სოფ. ჯუგაანში, ერთი კაცი სოფ. პრბოშიკში. პაცს ცხვირპირში მივარდნია და გამოუგლეჯია, იქნება მორჩესო.

„ადმინისტრაციამ გამორეკა ხალხი იმის მოსაკლავათ, ერთი მოკლეს ს. ბოდბეში, მაგრამ კიდევ არის: ტყავი ამ მოკლულისა ინახება მაზრის უფროსთან.

„ძლიერ ეღირსა სიღნაღს ფარნები. რამოდენიმე ფარანი ანათებს ეხლა ჩვენ მეიდნის ქუჩაზე.“

* * *

ჩვენ მივიღეთ ოზურგეთიდამ წერილი, რომლის ავტორი შესხმით იხსენიებს იქაურ მომრიგებელ მსაჯულს ბ. ბაბინს და ამბობს „როგორც მსაჯულს მას არავითარი ბიწიერება არ აქვსო, არც ნათესაობას, არც მეგობრობას და არც დიდ-კაცობას ყურადღებას არ აქცევსო“ და „მართალს და მტყუანს შეხედვით არჩევსო (?)“.

დიდათ მოხარულნი ვართ, თუ კორრესპონდენტის სიტყვები ჭეშმარიტებაა...

* * *

დაბა ქვირილიდამ გვწერენ:

„ამ ორი-სამი წლის განმავლობაში ერთობ გამრავლდა ჩვენში ადვოკატები, ანუ უკეთ ვსთქვათ „აბლაკატები“. დუქანი ერთია და „აბლაკატი“ ორმოცი. ერთს ამ დუქნთაგანში ორს ადვოკატს წააწყდა ღარიბი გლეხი, რომელსაც სასამართლოში ჰქონდა საქმე და დამცველს ეძებდა. ერთს ადვოკატს უთქვამს, მე ას მანეთად დაგიცვავ საქმესო; მეორეს მე ორმოც-და-ათად მოგიგებო, და ამ ნაირად ამ ორს ცრუ-ადვოკატებს ერთმანეთის ქინისათვის თან-და-თან უკლიათ ფასი. ბოლოს იქამდი მისულან, რომ კინაღამ მუშტი-კრივით გაუსამართლებიათ—თუ მათ ორში ვინ უფრო იაფად და კარგად დაიცვავდა გლეხის საქმეს.

„არა თუ გლეხის საქმე დაეცვათ, თავიანთი თავიც კინაღამ დასაცველად გაუხდათო“ — ამბობს დასასრულ ჩვენი კორრესპონდენტი.

## ტაქსია

**საკვებავი ხორაგეულება, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში დუქნებში და დასტარებით 1-დამ 15 აგვისტომდი 1880 წ.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის — 1 გირვ. 5 კ.

მეორის „ — 1 გირ. 4

იმავე ფქვილიდამ თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის — 1 გირვ. 6 კ.

მეორის „ — 1 გირ. $4\frac{1}{2}$

ჯვარის მამის პური:

პირველის ხარის. ლევაში 1 გირ. 8 კ.

მეორის „ „ 1 გირ. $5\frac{1}{2}$

მესამის „ „ 1 გირ. 5

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის — 1 გირ. 8 კ.

მეორის „ — 1 გირ. 7.

სუკი — 1 გირ. 14

ცხვრის ხორცი 1 გირ. 9

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაედნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ზემო-აჭარა**, 20 ივლისს. პირველს რიცხვებში ამა თვის ახლად მოსულმა ნაჩალნიკმა აჭარის მაზრისამ თ. ლორთქიფანიძემ ინება დავლა თითოეულის სოფლის საზოგადოებისა. სხვათა შორის მეც დავიარებოდი ამ დროს იმასთან და ხშირად ვაქცევდი ყურადღებას იმ ადგილებს, სადაც სოფლებში ყოფილან ძველი აქაურების ქრისტიანობის დროისა ეკკლესიები და მრავალს ადგილს ვნახე ბალავრები, ანუ კედლები ძველთა ეკლესიათა.

ერთს სოფელში, რომელსაც ეწოდება სახელად მსხალთა და მდებარეობს შუა ადგილს ზემო-აჭარის სოფლებში, ვნახე აგებული მთელად მმართლ-მადიდებელთა ეკკლესია აღშენებული თლილის ქვითა და მოფენილი იატაკით, დახურული სილაკირით, თითქო ცემენტით შეგონა; როგორც კედლები, ეგრეთვე ზევით თალი შეკრული და მაზედ მშვენიერი მხატვრობა იესო ქრისტესი და სხვათა წმიდათა მოწამეთა და მოციქულთა, რომელთაც ხუცურის ასოებით აწერია სახელები. როგორც პლანი, ეგრეთ მშვენიერება ამ შენობისა გააკვირვებს მნახველთა. დასადგომი ქალთათვის მოშენებულია უკან და დასავლეთის მხრით კართან, სადაც არის მოსავალი გზა იქიდამ მიშენებულია თლილი ქვის სვეტებით დერეფანის მზგავსი. შესავალი კარები ყოფილა დაკიდებული ურთხმელის ხის სვეტებზე, რომელიც ძირებით ჩაკირულია შენობაში და მუსულმანებს ვერ მოუთხრიათ, მავრამ მოუჭრიათ ხუთს ვერშოკ სიმაღლეზე მიწიდამ; ამ დანარჩენთ სვეტების ძირებს მნახველი წარმოიდგენს სრულიად ახალივით; უექველია, [illegible] რადგან არ აწვიმს და დახურულია მთელი შენობა. ამა შენობის გარეშემო ეტყობა დანგრეული ძველი ქვის გალავანი და შიგ მეორე შენობა სახლისა ისევ ქვის დგას და, როგორც ეტყობა, ამა უკანასკნელში მდგარან სასულიერო პირნი, ესე იგი კრებულნი ამა ეკკლესიისა.

აქვე რამოდენიმე მიწით სავსე ქვევრებიც არის ჩაფლული მიწაში.

ამბობენ, რომ ამისთანავი ეკკლესია მთელი და გადახურული არისო სოფელს დარჩიძეს, რომელიც იმყოფება ამ მსხალთის ახლოს.

მიკვირს, რომ ამ მხარეში ქართველების ძველთაგან დაშთენილ შენობებსა, ტაძრებსა და სხვა ნივთებს ჯერ აქნობამდინ არავინ არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ნუ თუ იმ დროს მოელიან, როდესაც აქ ქვა ქვაზედაც აღარ დარჩება?

ლუკა ქუთათელაძე.

## ნარევი

**გურული პასუხები**

დაკარგული ცხენის მაძებარს მოხუცებულ იმერელს წინ გურული შემოეყარა. დილა არის და იმერელს, ძველებურ ჩვეულებისამებრ, ულვაშები აკრული აქვს. იმერელი შესჩივლებს გურულს ცხენი დამეკარგაო.

გურული. დასტურ ჩივი?

იმერელი. მართალს ვამბობ, ჩემო ძმაო, დევილუპე კაცი.

გურული. მაგი და, შე კაი კაცო, ულვაშები აგეშვა და ცხენი დაგება იგი არ გერჩია!

* * *

ოზურგეთში ბატონ-ყმობის ახლად გაყრის დროს გურული გლეხი იმერელს შეეყრება და ჰკითხავს:

— ძამიავ, ვისი კაცი ხარ?

იმერელი ამაყად მიუგებს:

— ჩემი თავის!

— კაი მოგივიდეს, კაი ბატონი შენ გყოლია!

ხასიათი ჰქონდა და მთელ კლასს სძულდა. ვერც ალერსით და ვერც მუქარით, ცემით ვერ აიძულებდით, რომ თქვენთვის რამე აეხსნა და გადაწერას ხომ რაღა თქმა უნდა... წელს იმას უნდოდა რომელიმე სოფელში წასულიყო, მაგრამ მისი კაი ხასიათის წყალობით არც ერთს ამხანაგს არ უნდოდა წაეყვანა.

„წყალ წაღებული ხავსს ეკიდებოდაო.“ დათიკომაც ასე მოიქცა: მივიდა ილიინთან და ცბიერობით აღუთქვა სოფელში წაყვანა. ილიინი სიხარულმა გაიტაცა და... წარმოიდგინეთ! თვითონ მისცა დათიკოს წინადადება ექზამენის დროს ჩემს გვერდით დაჯდეგ და მე ჩუმად გიკარნახებ და შენ სწერეო.

მეათე საათზე VI კლასის შაგირდები და მასწავლებელნიც თავიანთ ადგილს სხედან. ექზამენი დაწყებულია. ყველა შაგირდები დალაგებულად სხედან გარდა ილიინისა და დათიკოსი. მათემატიკიდამ შაგირდებს უნდა აეხნათ ღეომეტრული გამოცანა, რომელიც ერთობ ძნელი ყოფილიყო. ცოტა ფიქრის შემდეგ ილიინი მიხვდა გამოცანას დაიწყო წერა და დათიკოს უჩურჩულებდა, თუმცა, მასწავლებლის მკაცრის თვალყურის ჭერისა გამო, უძნელდებოდა კი. დათიკო არხეინად იყო და სწერდა და თან იმისთანა სახის გამომეტყველებას აჩენდა, რომ ვითომ რაო და ძნელი გამოცანაა და ახსნა მიჭირსო.

ექზამენი გათავდა. დათიკო კარგს გუნებაზედ იყო: ის შემდეგ კლასში გადასვლას მოელოდა. მაგრამ ჩაუმწარდა თავის მოლოდინი: ილიინს დავიწყებოდა შეცვლით დაეწერინებინა დათიკოსათვის და ერთობ მიმსგავსებით დარჩა დაწერილი მათს რვეულზე გამოცანის ახსნა. ამას მიხვდა დათიკოს მტერი—მასწავლებელი და 1 მოუწერა. ინსპექტორმა კი ვერ დაიჯერა: ილიინს მე ძალიან კარგად ვიცნობ, ის არაფრისათვის არავის გადააწერინებდა თავის ახსნასო და ამისგამო მოუწერა 3—. მაგრამ ინსპექტორის მოწერას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა და დათიკო იმავ კლასში უნდა დარჩენილიყო, რადგანაც მასწავლებელ-დამრიგებლისაგან 1 მიიღო ექზამენის დროს და მთელი წლის ბალლის რიცხვი შუათანა გამოანგარიშებით $2\frac{1}{2}$ ჰქონდა.

—

შაგირდების რვეულებიდამ მასწავლებელთაგან მოწერილი ბალლების გადაწერა საგანგებო სქემაზე ღიმნაზიის ერთს მწერალს მიანდვეს. ამ სქემას პედაღოგები განიხილვიდნენ პედაღოგიურ რჩევის დროს და იმის მიხედვით გარდასწყვეტდენ—ვინ უნდა გადასულიყო და ვინ დარჩენილიყო.

კლასსის დამრიგებელ—მასწავლებელმა ამ რჩევას აღარ მოუცადა: ნება აიღო მთავრობისაგან და თავის სახლში (რუსეთში) წავიდა.

ეს სულ ყველაფერი გაიგო დათიკომ, გაძვრა-გამოძვრა, იშოვნა ერთი „წითელი ქაღალდი“ და გამოეცხადა იმ მწერალს.. ხანგრძლივის პოლიტიკური საუბრისა და ფარისევლობის შემდეგ, იმან დაითანხმა მწერალი და ამიტომაც... პედაღოგიური რჩევის დროს საქმის მწარმოებელმა ხმა-მაღლა წაიკითხა: „დავით მეხარიძეს მასწავლებელმა მოუწერა 4 და ინსპექტორმა 3; შუათანა რიცხვი $3\frac{1}{2}$.“

ამ ნაირად დათიკო გადავიდა, ანუ როგორც თვითონ ამბობდა „გადაძვრა“ მეშვიდე კლასში.

გამოვა თუ არა რამე ხეირი ამ ნაირ გადასვლით, ეს თვითონ მკითხველმა გამოიცნოს; მე აწ მხოლოდ ამ ამბის დაბოლოებას ვეტყვი.

სეკტემბერში, ერთხელ, როცა დათიკო ღიღინით შედიოდა მე-VII კლასში, წინ, დარეფანში, შეხვდა შარშანდელი მისი დამრიგებელი-მასწავლებელი, რომელიც წრეულს მე-II კლასში იყო იმავ ადგილზედ.

— დავით მეხარიძე განა თქვენ გადახვედით?! გაოცებით ჰკითხა მასწავლებელმა, რომელსაც მგონი ახლაც ახსენდებოდა გულ-მომკლავი სიტყვები: „შენი ცოლის ჭკირიმე ვდინიცას ნუ დამწერ.“

დათიკომ გვერდი მოუბრუნა, ისევ ღიღინით შევიდა კლასში და მხოლოდ იქიდამ ამაყად თითქო მადლის გულისათვის, გამოსძახა:

— გადავედი მაშ!

ჭ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბალანსი

## თფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, 1 ივლისს 1880 წელსა.

### აქტივი.

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასსაში . . . . | 8,911 | 8 | | |
| 2) გირაოს ფურცლები გადამ. . . . | 1,500 | — | 5,301 | 67 |
| მიმდინარე ანგარიშზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში . | 14,992 | — | | |
| ბ) თფილისის კომმერციულ ბანკში . . | 381 | 20 | | |
| გ) თფილ. საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში . . . . | 756 | 37 | 16,129 | 57 |
| დ) ბანკირ მაიერს და ამხ. პეტერბურღში . | | | | |
| 3) კორრესპონდენტები: | | | | |
| ა) კორრესპონდენტი: | | | | |
| ბ) — . . — | | | | |
| გ) — — — | | | | |
| 4) საწევრო შესატანი თფ. საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში. . . . | . | . | 30 | — |
| 5) სასარგებლოდ შესანახავი ფული: | | | | |
| ა) — — | | | | |
| ბ) — — | | | | |
| 6) სახელმწიფო და გარანტიის ქაღალდები შენახული: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში . — (101,200). . | 91,909 | 56 | | |
| ბ) ბანკის კასსაში . . . (2,000) . | 3,960 | 71 | | |
| 7) ბანკის საკუთარი სარგებლიანი ქაღალდები — (2,000) . | 1,852 | 01 | 97,722 | 28 |
| 8) გრძელ-ვადიანი სესხნი, გაცემულნი: | | | | |
| ა) მიწა-წყლის გირაოზე $54^1/_2$ წლით . | 489,100 | | | |
| ბ) — — — — $43^1/_2$ წლით . | 363,100 | | | |
| გ) — — — — — ქალაქის უძრავს ქონებაზე 27 წლით და 6 თვით . . | 708,200 | | | |
| ქალაქის უძრავ ქონებათა გირაოთ 18 წლით და 7 თვით . . . . | 20,100 | — | 1,580,500 | — |
| 9) გრძელ ვადიანი სესხნი, რომელნიც უნდა გაიცნენ: | | | | |
| ა) მიწა-წყლის დაგირავებით 54 წ. და 6 თ. | | | | |
| ბ) . . . . 43 წ. და 6 თ. | 7,000 | — | | |
| გ) . . . . ქალაქის უძრავი ქონებათა 27 წ. და 6 თვით. | 2,000 | — | 9,000 | — |
| ქალაქის უძრავთ ქონებებზედ 18 წ. 7 თვით | | | | |
| 10) გრძელ-ვადიანი სესხნი, რომელთ მიღებაზე მსესხებელთა უარი სთქვეს: | | | | |
| ა) მიწა-წყლის გირავებზე. | | | | |
| ბ) ქალაქის უძრავთ ადგილებზე. . . | . | . | 3,100 | — |
| 11) ვადას-გადასული სესხის გადახდა: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით . . . | . | . | 2,300 | — |
| ნაღდი ფულით: | | | | |
| 12) მოკლე ვადიანნი სესხნი. . . . | . | . | 105,815 | — |
| 13) გირაოს ფურცელნი საკომმისიოდ მიღებულნი (169,900) . . . . | . | . | 145,025 | — |
| 13) მსესხებელნი | | | | |
| ა) უპირატესობის მინიჭება (წესდება § 14 გრძელ-ვად. სესხ.) . . . . | 58,372 | 98 | | |
| ბ) — — მოკლე-ვადიანი სესხისა . . | 2,425 | — | | |
| 15) ვადა-გასულ სესხის შემოტანა. . . | 7,352 | 96 | 68,150 | 21 |
| 16) უკან დაბრუნებული ხარჯი . . | . | . | 3,526 | 44 |
| 17) ხარჯი | | | | |
| ა) ბანკის მოწყობისათვის . . . | 3,323 | 69 | | |
| ბ) ბანკის გამგეობა და შენახვა. . . | 10,787 | 41 | 14,111 | 10 |
| ბალანსი . . | . | . | 2,055,721 | 41 |
| შენიშვნა: გირაოს | ფურცლები | | შენახულია | |

### პასსივი.

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირითადი თავნი ფული | | | | |
| ა) გრძელ ვადიან სესხისათვის . . | 171.982 | 85 | | |
| ბ) მოკლე ვადიანი სესხისათვის . . | 111,649 | 97 | 283,652 | 82 |
| 2) სათადარიგო თანხა . . . . | . | . | 12,374 | 42 |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებათათვის . | . | . | 1,190 | 82 |
| 4) საყოველ-შემთხვეო თანხა . . | . | . | 5,781 | 39 |
| 5) გირაოს ფურცლები დასახურდავებლად გამოცემულნი: | | | | |
| 54 წლით და 6 თვით . . . | 489,100 | | | |
| 43 — და 6 თვით . . . | 363,100 | | | |
| 27 — და 6 თვით . . . | 7,200 | | | |
| 18 წლით და 7 თვით . . . | 20,100 | . | 1,580,500 | — |
| 6) გამოსაცემად დანიშნული გირაოს ფურ. | | | | |
| 54 წლით და 6 თვით . . . | | | | |
| 43 — და 6 თვით . . . | 7,000 | . | | |
| 27 — და 6 თვით . . . | 2,000 | . | 9,000 | |
| 18 წლით და 7 თვით . . . | | | | |
| 7 მოსასპობლად დანიშნულნი გირაოს ფურ. | . | . | 3,000 | |
| 8) ვადას გადასრულთ სესხთა გადახდა: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით . . . | 2,300 | — | | |
| ბ) ნაღდი ფულით . . . | 302 | 19 | 2,602 | 19 |
| 9) ტირაჟში გამოსულნი გირაოს ფურცელნი ჯერ წარუდგენელნი გადასახდელად. . | . | — | 19,500 | — |
| 10) გადასახდელი კუპონები გირაოს ფურცლები | . | . | 41,836 | - |
| 11) სარგებლის ფონდი . . . . | . | . | 47,625 | — |
| 12) გადამხდელი ფონდი 54 წლით და 6 თვით. | 718 | 25 | | |
| — $43^1/_2$ — | 1,049 | 22 | | |
| — $27^1/_2$ — | 6,897 | 62 | | |
| 18 წ. და 7 თვით | 395 | — | 9,060 | 09 |
| 13) გარდამავალნი ჯამნი . . . . | . | — | 8,854 | 12 |
| 14) სხვა-და-სხვა მევალენი . . . | . | — | 4,544 | 97 |
| 15) კორრესპონდენტები . . . | | | | |
| 16) მსესხებელნი . . . . | | | 1,863 | 48 |
| 17) დაფასების დროს და სხ. დასახარჯავი ფონდი | 12,624 | 63 | | |
| 18) მოკლე ვადიან სესხთა სარგებელი . . | 3.485 | 61 | | |
| 19) ჯარიმის ანგარიში . . . | 1,739 | 72 | | |
| 20) სხვა-და-სხვა სარგებელი . . . | 6,506 | 17 | 24,356 | 13 |
| 21) მიუცემელი დივიდენდი. . . . | | | | |
| 22) 1878 წლის მოგების ფული, რომელიც, წესდების § 90 თანხმად უნდა იქმნეს მოხმარებული | | | | |
| ბალანსი. . | . | . | 2,055,721 | 41 |

თავს-მჯდომარე ბანკისა თ. ი. ჭავჭავაძე.

წევრნი { თ. დ. ავალიშვილი. / თ. ალ. ჩოლოყაშვილი.

ბუხგალტერი ქ. ხახატურიანი.

Дозволено цензурою. Тифлисъ 1 Августа 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი